



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №4

აბაშა, 2019 წლის 22 თებერვალი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს აღემატება, თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით განსაზღვრული „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის, ადმინისტრაციულ შენობებში რემონტისა და ქ. აბაშაში კვათანის უბანში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოების (ამ ეტაპზე ადმინისტრაციულ შენობებში რემონტისა და ქ. აბაშაში კვათანის უბანში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოები) შესრულების ხელშეკრულების დადებაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს და შეადგენს 564997 ლარს დღგ-ს გათვალისწინებით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. 247)
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

მ. კვიციანი